საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 226

28 03 2017 წ.

ქ. თბილისი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 22 მარტის №275493 და 27 მარტის №291493 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 22 თებერვლის №139 ბრძანებით დამტკიცებული „ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“ მე-4 მუხლის, მე-5 მუხლის მე-4 და მე-8 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.2017 წლის 29 მარტიდან 2017 წლის 30 ივნისის ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის მიზნით.

2.კონკურსი გამოცხადდეს შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

2.1. აგრარული მეცნიერებანი;
2.2. ბიზნესის ადმინისტრირება;
2.3. განათლება;
2.4. ინჟინერია;
2.5. მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი;
2.6. სამართალი;
2.7. სოციალური მეცნიერებები;
2.8. ხელოვნება;
2.9. ჯანდაცვა;
2.10. ჰუმანიტარული მეცნიერებანი;

2.11. მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები.

3. მე-2 პუნქტში მითითებული მიმართულებების არჩევის შემდგომ, კანდიდატმა უნდა დააკონკრეტოს შემდეგი დარგები/სპეციალობები:

3.1. აგრონომია;
3.2. ვეტერინარია;
3.3. მეცხოველეობა;
3.4. სასურსათო ტექნოლოგია;
3.5. სატყეო მეცნიერება;
3.6. საბუღალტრო აღრიცხვა;
3.7. მარკეტინგი;
3.8. მენეჯმენტი;
3.9. ფინანსები;
3.10. განათლების მეცნიერებები;
3.11. მასწავლებლის განათლება;
3.12. კომპიუტინგი;
3.13. ინფორმატიკა;
3.14. ტელეკომუნიკაცია;
3.15. ხელსაწყოთმშენებლობა, ავტომატიზაცია და მართვის სისტემები;
3.16. საინჟინრო ფიზიკა;
3.17. ენერგეტიკა და ელექტროინჟინერია;
3.18. მშენებლობა;
3.19. ტრანსპორტი;
3.20. მექანიკის ინჟინერია და ტექნოლოგია;
3.21. სამრეწველო ინჟინერია და ტექნოლოგია;
3.22. ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია;
3.23. მეტალურგია;
3.24. მასალათამცოდნეობა;
3.25. გარემოს ინჟინერია და უსაფრთხოება;
3.26. სამთო და გეოინჟინერია;
3.27. აგროინჟინერია;
3.28. საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაცია;
3.29. საინჟინრო გეოდეზია და გეოინფორმატიკა;
3.30. კომპიუტერული ინჟინერია;
3.31. მათემატიკა;
3.32. ფიზიკა;
3.33. ქიმია;
3.34. ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი/გამოყენებითი ბიომეცნიერებები;
3.35. გეოგრაფია;
3.36. გეოლოგია;
3.37. ბიოფიზიკა;
3.38. გეოფიზიკა;
3.39. ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია;
3.40. საერთაშორისო სამართალი;
3.41. ეკონომიკა;
3.42. პოლიტიკის მეცნიერება;
3.43. მასობრივი კომუნიკაცია;
3.44. ჟურნალისტიკა;
3.45. საზოგადოებრივი გეოგრაფია;
3.46. საერთაშორისო ურთიერთობები;
3.47. სოციოლოგია;

3.48. ფსიქოლოგია;
3.49. კულტურული მემკვიდრეობა;
3.50. დემოგრაფია;
3.51. აუდიოვიზუალური ხელოვნება;
3.52. მედიახელოვნება;
3.53. დიზაინი;
3.54. თეატრალური ხელოვნება;
3.55. სამუსიკო ხელოვნება;
3.56. სახვითი ხელოვნება;
3.57. ქორეოგრაფიული ხელოვნება;
3.58. მედიცინა;
3.59. სტომატოლოგია;
3.60. ფარმაცია;
3.61. საზოგადოებრივი ჯანდაცვა;
3.62. საექთნო საქმე;
3.63. ბებია ქალი;
3.64. ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია;
3.65. ოკუპაციური თერაპია;
3.66. ეთნოლოგია;
3.67. თეოლოგია;
3.68. ისტორია;
3.69. ფილოლოგია, ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით;
3.70. ფილოსოფია;
3.71. ხელოვნებათმცოდნეობა;
3.72. ხელოვნების ისტორია და თეორია;
3.73. რელიგიის კვლევები;
3.74. არქიტექტურა;
3.75. ეკოლოგია;
3.76. გარემოსმცოდნეობა;
3.77. კულტურის კვლევები;
3.78. რეგიონმცოდნეობა, ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით;
3.79. ანთროპოლოგია;
3.80. რესტავრაცია;
3.81. კონსერვაცია;
3.82. სოციალური მუშაობა;
3.83. საჯარო მმართველობა;
3.84. საზღვაოსნო მეცნიერებები (საზღვაო ნავიგაცია/გემის მექანიკა/გემის ელექტრომექანიკა);
3.85. გენდერი;
3.86. სპორტი;
3.87. თავდაცვა და უსაფრთხოება;
3.88. სამხედრო მეცნიერება;
3.89. არქეოლოგია;
3.90. პალეობიოლოგია;
3.91. პალეოანთროპოლოგია;
3.92. სტატისტიკა;
3.93. ადიქციის კვლევები (ადიქტოლოგია);
3.94. ტურიზმი;
3.95. ჯანმრთელობის მეცნიერებები;
3.96. ურბანისტიკა.

4. კანდიდატი ვალდებულია განაცხადში მიუთითოს ის მიმართულება, დარგი/სპეციალობა ან/და სპეციალიზაცია, რომლის კვალიფიკაციის პროგრამის შესაფასებლადაც მას გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ფილოლოგიის და რეგიონთმცოდნეობის დარგი/სპეციალობის არჩევის შემთხვევაში კანდიდატმა ასევე უნდა მიუთითოს ქვედარგი/სპეციალიზაცია.

5. კანდიდატი უფლებამოსილია განაცხადი გააკეთოს მე-2 პუნქტში მითითებულ რამდენიმე მიმართულებაზე (შესაბამისი განაცხადის ელექტრონული ფორმების შევსებით), ასევე, უფლებამოსილია ერთი მიმართულების ქვეშ მონიშნოს რამდენიმე დარგი/სპეციალობა, ქვედარგი/სპეციალიზაცია.

6.უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებად განისაზღვროს:

ა) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ან დოქტორანტი, რომელსაც აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლებისა და/ან სამეცნიერო-კვლევის გამოცდილება;

ბ) დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე აკრედიტაციის ექსპერტს შეიძლება ჰქონდეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

გ) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში, განხორციელებასა და განვითარების პროცესში მონაწილეობის გამოცდილება;

დ) „ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG)" 2015 წლის დოკუმენტის ცოდნა, ბოლონიის პროცესის შესახებ ზოგადი ცოდნა და განათლების სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

დ.ა) „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი;

დ.ბ) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონი;

დ.გ) „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება;

დ.დ.) „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანება;

დ.ე) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანება;

დ.ვ) შესაბამისი სფეროს დარგობრივი მახასიათებლები.

ე) კომპიუტერული უნარების ქონა;

ვ) გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარი;

ზ) მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარი.

7. აკრედიტაციის ექსპერტთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნა.

8.უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტის ფუნქციებად განისაზღვროს:

ა) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად შეფასების პროცესში მონაწილეობა, რაც მოიცავს:

ა.ა) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო დოკუმენტაციის შესწავლას; აღნიშნულის საფუძველზე თითოეულ სტანდარტთან მიმართებით შენიშვნების, მოსაზრებებისა და კითხვების ჩამოყალიბებას.

ა.ბ) სააკრედიტაციო ვიზიტის დღის წესრიგის შემუშავებაში მონაწილეობას;

ა.გ) სააკრედიტაციო ვიზიტში მონაწილეობას, რომლის დროსაც უნდა შეისწავლოს ყველა საკითხი დასკვნის შესადგენად, მათ შორის, ჩაატაროს დაინტერესებულ პირებთან ინტერვიუირება, საჭიროების შემთხვევაში, გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია, მოახდინოს ვიზუალური დათვალიერება და, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი აქტივობები;

ა.დ) ვიზიტის შემდეგ შეფასების შედეგების განხილვაში, შეჯამებასა და დასკვნის მომზადებაში მონაწილეობას;

ა.ე) შესაბამისი საკითხის განხილვაში აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მიღებას.

ბ) მონაწილეობა ცენტრის მიერ განხორციელებულ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში.

9. კონკურსში მონაწილე კანდიდატმა სრულყოფილად უნდა შეავსოს მითითებული განაცხადის ელექტრონული ფორმა, რომელიც განთავსებულია ბმულზე: https://goo.gl/forms/Ks2JEQuD42hTdlzC2 ასევე, ელექტრონული ფოსტის მისამართზე - jobs@eqe.ge – აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

ა) ავტობიოგრაფია (CV);

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

10. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შესარჩევი კონკურსის ეტაპებად განისაზღვროს:

ა) განცხადების წარდგენა;

ბ) წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევა შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით;

გ) ექსპერტთა შერჩევის მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაბამისი კომისიის შექმნა;

დ) გასაუბრება;

ე) კომისიის მიერ შერჩეული კანდიდატების შესახებ რეკომენდაციის წარდგენა ცენტრის დირექტორისთვის;

ვ) ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ექსპერტთა შეყვანა ექსპერტთა კორპუსის შემადგენლობაში.

11. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკრედიტაციის ექსპერტი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე, ასევე, არ შეიძლება იყოს ცენტრის თანამშრომელი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი ცენტრში დასაქმებულია 3 თვეზე ნაკლები ვადით, კონკრეტული მოცულობის საექსპერტო სამუშაოს შესასრულებლად.

12. საკონკურსო კომისიამ საბოლოო გადაწყვეტილება თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით მიიღოს შესაბამისი განაცხადის მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

13. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდების – www.jobs.ge და www.eqe.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

14. დაევალოს საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა და ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge - გამოქვეყნების უზრუნველყოფა.

15. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

თამარ სანიკიძე

შემსრულებელი:

ადამიანური რესურსების სამმართველოს სპეციალისტი

თარიღი: /28.03.17/ ..... / ირინე იაკობაშვილი

შეთანხმებულია:

ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

თარიღი: /28.03.17/ ..... / ნინო მეგრელი

სამართალშემოქმედების სამმართველოს უფროსი

თარიღი: /28.03.17/ ..... / ანა ბუჩუკური

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

თარიღი: /280317/ ..... / ლაშა მარგიშვილი

ხელმოწერის თარიღი:

28.03.2017